

## მიხეილ გელოვანი

მიხეილ გიორგის (გერონტი) ძე გელოვანი დაიბადა 1892 წლის 25 დეკემბერს ლეჩხუმის რაიონის სოფელ ლესურიაში ძველი ქართული ტრადიციული თავადის ოჯახში. მას წერა-კითხვა დედამ ასწავლა.

მიხეილ გელოვანი 8 წლის ასაკიდან ელიზავეტპოლის გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ სწავლას აგრძელებს ბაქოში, ქუთაისსა და პეტერბურგში.

1912 წელს მიხეილ გელოვანმა გიმნაზია დაასრულა და განზრახული ჰქონდა უმაღლესი განათლების მიღება პეტერბურგის უნივერსიტეტსა და კონსერვატორიაში, რადგან მოწაფეობისას კარგი სმენა და ხმა აღმოაჩნდა. სამწუხაროდ მისი გეგმები მამის გარდაცვალების გამო შეიცვალა და იძულებული გახდა ოჯახის რჩენის მიზნით ბაქოში გამგზავრებულიყო.

ბაქოს ქართულ თეატრში იწყება მიხეილ გელოვანის სასცენო მოღვაწეობა, სადაც მასწავლებლის როლს ასრულებდა ნიკო გვარამაძის რეჟისორობით დადგმულ შვაიერის პიესაში „ნიშანი ყოფაქცევაში“. ამის შემდეგ მიხეილ გელოვანის სამსახიობო შემოქმედებითი მოღვაწეობა მრავალფეროვანია. იგი მოღვაწეობდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის თეატრებსა და დრამატულ სტუდიებში.

1913-1914 წლებში მიხეილ გელოვანი ბათუმის თეატრში მოღვაწეობდა რეჟისორ ლადო მესხიშვილთან, 1916 წლიდან კი აღექსანდრე წუწუნავასთან თანამშრომლობდა.

1917 წლიდან მიხეილ გელოვანი ქუთაისში აგრძელებს სამსახიობო კარიერას რეჟისორ მიხეილ ქორელის ხელმძღვანელობით.

1918-1920 წლებში მიხეილ გელოვანი სწავლობდა პარიზიდან დაბრუნებული გიორგი ჯაბაღარის მიერ დაარსებულ დრამატულ სტუდიაში.

1919-1921 წლებში მიხეილ გელოვანი ქართული დრამის თეატრშია მიხეილ ქორელის ხელმძღვანელობით, სადაც მოღვაწეობდნენ: ნინო ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი ვასაძე, მიხეილ ჭიაურელი, შალვა ღამბაშიძე და სხვები.

1921-1923 წლებში მიხეილ გელოვანი ბათუმის თეატრში ეწეოდა სამსახიობო მოღვაწეობას და პარალელურად აჭარის მხატვრულ-თეატრალურ დეპარტამენტში მუშაობდა. იგი იყო ინიციატორი და ორგანიზატორი ბათუმის საოპერო თეატრების „მოზაიკისა“ და „სატირის“ აღდგენისა.

1924 წელს მიხეილ გელოვანმა საქართველოს სახელმწიფო კინოცენტრის ფილმში „სამი სიცოცხლე“ ბახვა ფულავას როლი განასახიერა, ხოლო 1927 წელს სომხეთის კინოცენტრში იქნა მიწვეული ფილმის „ბოროტი სული“ რეჟისორად პ. ბარსუდაროვთან ერთად.

მიხეილ გელოვანი 1927-1928 წლების ქუთაისის თეატრალურ სეზონში მოღვაწეობდა რეჟისორად და მსახიობად, ხოლო 1928 წლიდან რეჟისორ კოტე მარჯანიშვილთან მუშაობდა ისეთი ნიჭიერი მსახიობების გუნდთან ერთად როგორებიც იყვნენ: ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, ელენე დონაური და სხვები.

1928-1930 წლებში საქართველოს სახელმწიფო კინოცენტრში მიხეილ გელოვანის რეჟისორობით გადაღებული ფილმებია: „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1928წ.), „ნამდვილი კავკასიელი“ (1931წ.), „დამკვრელი“ (1931წ.), „ავი სული“ (პ. ბარსუდაროვთან ერთად) და სხვა.

მიხეილ გელოვანის შემოქმედებაში გამორჩეული თეატრალური როლებია: სოკრატე (დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“), ბესო ( ა. სუმბათაშვილის „ლალატი“), შმაგი (ა.ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), არკაშკა (ა. სტროვსკის „ტყეში“), სილოკა (სენეკეინის „ვიდრე ხვალ უფალო“), გეგეჭკორი (შ. დადიანის „გეგეჭკორი“), ნიკიფორე ატაკუტა (ტრ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძლობა“), საბა (ნ. შიუკაშვილის „სიმბახინჯე“), სულელი (ნ. შიუკაშვილის „სულელი“), სიმონი (ე. ნინოშვილის „გმირთა თაობა“), ახალგაზრდა სტალინი (შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“), სენატორი (უ. შექსპირის „ოტელო“).

მიხეილ გელოვანმა კინოფილმებში განასახიერა: მიმანა-რევოლუციონერი („მეცხრე ტალღა“), ტურიკო („ორი მონადირე“), გიჟ-დანელი („ბოროტი სული“), მენშევიკი („უკანასკნელი მასკარადი“), კირილე („ნარინჯის ველი“).

1939 წელს მიხეილ გელოვანს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

1941 წელს მიხეილ გელოვანი დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით სტალინის როლის შესრულებისათვის ფილმში „ღიადი განთიადი“, ხოლო 1942 წელს გადაეცა სახელმწიფო პრემია ფილმისთვის „ცარიცინის დაცვა“.

1946 წელს მიხეილ გელოვანს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

1947 წელს დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით ფილმისთვის „ფიცი“, ხოლო 1950 წელს სახელმწიფო პრემია ფილმისთვის „ბერლინის დაცემა“

1950 წელს მიხეილ გელოვანს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

მიხეილ გელოვანის როგორც კინომსახიობის შემოქმედება სტალინის როლების შესრულებითაა გამორჩეული ფილმებში: „ღიადი განთიადი“ (სსრკ სახელმწიფო პრემია. 1938წ.), „თოფიანი კაცი“, „ვიბორგის მხარე“, „ლენინი 1918 წელს“, „ვალერი ჩკალოვი“, „ცარიცინის დაცვა“ (სსრკ სახელმწიფო პრემია. 1942წ.), „დაუვიწყარი 1919 წელი“, „ფიცი“ (სსრკ სახელმწიფო პრემია. 1946წ.), „ბერლინის დაცემა“ (სსრკ სახელმწიფო პრემია. 1950წ.).

მიხეილ გელოვანი გარდაიცვალა 1956 წლის 21 დეკემბერს.

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. მიხეილ გელოვანის განცხადება სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ მთავარ სახელოვნო კომიტეტისადმი, ქართული ხალხური სიმღერების ქოროს დაარსების შესახებ. 1923წ. 29 სექტემბერი. ავტოგრაფი. ხელს აწერს მიხეილ გელოვანი. დაზიანებული. მელანი. 1 გვ.
2. მიხეილ გელოვანსა და სახელმწიფო აკადემიური თეატრის გამგეობას შორის დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო აკადემიური დრამის დასში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. 1923წ. 9 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს მიხეილ გელოვანი. 1 გვ.
3. მსახიობ მიხეილ გელოვანის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მომუშავეთა საანკეტო ფურცელი. 1938წ. 14 მარტი. ბლანკი. ავტოგრაფი. მელანი. 1 ც. ფოტოასლი. 2 ც.
4. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ადგილკომის შუამდგომლობა მიხეილ გელოვანისადმი საქართველოს დამსახურებული არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ. 1939წ. 10 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
5. საქართველოს ხელოვნების კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი მიხეილ გელოვანის რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით. 1939წ. 13 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
6. მიხეილ გელოვანის მოკლე დახასიათება, ავტობიოგრაფია უთარილო. ნაბეჭდი. ერთვის შესრულებული როლების სია. რუსულ ენაზე. 9 გვ.
7. საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის ბ. გოგუას მიერ გაცემული მოკლე დახასიათება მიხეილ გელოვანის შესახებ. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ც.
8. მიხეილ გელოვანის დეპეშა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრს, ფულის გაგზავნასთან დაკავშირებით. პირი: ჩხატარაშვილი. უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

9. მიხეილ გელოვანის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.  
უთარილო. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 1 გვ.
10. მიხეილ გელოვანის ავტობიოგრაფია.  
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს მიხეილ გელოვანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
11. ბათუმის ქართული აკადემიური თეატრის შალვა დადიანის საიუბილეო საღამოს მომწყობი კომისიის თხოვნა მიხეილ გელოვანისადმი, იუბილეში მონაწილეობის მიღებაზე.  
უთარილო. ხელნაწერი. 1 ც.
12. მიხეილ გელოვანის წერილი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გადასვლასა და ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით.  
პირი: დათიკო ჩხეიძე, ეგტეხი ჩხატარაშვილი.  
უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.
13. გაჩეჩილაძის მიერ შეგროვებული მსახიობ მიხეილ გელოვანის ბიბლიოგრაფიული მასალები: მის მიერ შესრულებული როლები, მიხეილ გელოვანის მოხსენება ქართული ხალხური სიმღერების ქოროს დაფინანსების შესახებ. სტატიები, რეცენზიები მიხეილ გელოვანის შემოქმედებით მოღვაწეობის შესახებ.  
უთარილო. ნაბეჭდი. 71 გვ.
14. მიხეილ გელოვანის ავტობიოგრაფია. ერთვის თეატრებსა და კინოში შესრულებული როლები.  
უთარილო. ავტოგრაფი. მწვანე მელანი. ხელს აწერს მიხეილ გელოვანი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

#### პროგრამები

15. ბათუმის სახელმწიფო თეატრის გამოსათხოვარი წარმოდგენის პროგრამა მსახიობ მიხეილ გელოვანის მონაწილეობით. 1950-1951 წლების სეზონი.  
1951წ. 17 იანვარი. ბათუმი. დასტამბული. 1 ც.
16. უზბეკეთის ა. ნავოის სახელობის დიდ თეატრში გიორგი გელოვანის რეჟისორობით დადგმული საოპერო სპექტაკლის ბ. ზეიდმანის „რუსი ადამიანები“ პროგრამა.  
1970წ. დასტამბული. რუსულ ენაზე. 3 ც.
17. უზბეკეთის ა. ნავოის სახელობის დიდ თეატრში გიორგი გელოვანის რეჟისორობით დადგმული საოპერო სპექტაკლის ჯ. ვერდის „ღონ კარლოსის“ პროგრამა.  
1971წ. ტაშკენტი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 1 ც.
18. უზბეკეთის ა. ნავოის სახელობის დიდ თეატრში გიორგი გელოვანის რეჟისორობით დადგმული საოპერო სპექტაკლის ა. ბოროდინის „თავადი იგორის“ პროგრამა.  
1972წ. დასტამბული. რუსულ ენაზე. 2 ც.
19. უზბეკეთის ა. ნავოის სახელობის დიდ თეატრში გიორგი გელოვანის რეჟისორობით დადგმული საოპერო სპექტაკლის უ. მუსაევის „უკვდავების“ პროგრამა.  
1974წ. ტაშკენტი. დასტამბული. რუსულ ენაზე. 2 ც.

#### დეპეშები

20. მიხეილ გელოვანის ოჯახის დეპეშა დათიკო ჩხეიძისადმი თანხის (100 მანეთი) გამოგზავნასთან დაკავშირებით.  
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

#### მიხეილ გელოვანის ხსენისადმი მიძღვნილი მასალები.

21. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული სტატია გაზეთში „მოამბე“ მიხეილ გელოვანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1957წ. იანვარი. ნაბეჭდი. 3 გვ.